შემოსული კითხვები და პასუხები

FSM-2025-02-06

1. **Q:** რა ლოტებზეა საუბარი, რაიონები, მხარე თუ ერთიანად?

   A: განმცხადებელს შეუძლია აირჩიოს 1 ან მეტი რეგიონი (ლოტი) მოთხოვნილი მომსახურების უზრუნველსაყოფად. მხოლოდ იმერეთის შემთხვევაში, განმცხადებელს უფლება აქვს, მთელ რეგიონში მოთხოვნილი მომსახურების მიწოდების გარეშე შეარჩიოს გარკვეული მუნიციპალიტეტები.

2. **Q:** *"გლობალური და ლოკალური კავშირი ინტერნეტთან: 5 Mbps, 10 Mbps და 20Mbps"* - აპლიკანტმა უნდა გააკეთოს შეთავაზება სამივე პაკეტისთვის?

   A: დიახ, აპლიკანტმა უნდა წარადგინოს თითოეული პაკეტის ღირებულება.

3. **Q:** *"მაქსიმალური დაყოვნება: 100 ms-ზე ნაკლები; პაკეტის დაყოვნება (Jitter) არ უნდა აღემატებოდეს 40ms-ს; პაკეტის დანაკარგი: 2%-ზე ნაკლები"* - რასთან მიმართებაშია მოთხოვნილი ეს სპეციფიკაციები?

   A: შესაბამისი პროვაიდერის ინტერნეტში ჩართვის წერტილამდე.

4. **Q:** *"რეალური IP მისამართი: 1"* - სტატიკური თუ გლობალური?

   A: გლობალური სტატიკური IP მისამართი.

5. **Q:** *"ინტერნეტ არხს უნდა შეეძლოს გაატაროს ტრაფიკი Wi-Fi მოწყობილობაზე შიდა დისტანციური მართვისთვის"* - საიდან საით?

   A: ინტერნეტ არხში არ უნდა იყოს შეზღუდვა პორტების მიხედვით. არხს უნდა შეეძლოს გაატაროს ტრაფიკი მოწყობილობის სამართავად და მონიტორინგის განსახორციელებლად.

6. **Q:** *"ინტერნეტ არხს უნდა შეეძლოს 100 Mbps-მდე ნებისმიერი გამტარუნარიანობის განახლება (გლობალური)"* – რა იგულისხმება განახლებაში?

   A: ინტერნეტის არხი ტექნიკურად უნდა იყოს ისეთნაირად მოწყობილი, რომ მომავალში სიჩქარის 100 Mbps-მდე გაზრდა იყოს შესაძლებელი.

7. **Q:** აპლიკანტმა უნდა შემოგთავაზოთ მოწყობილობები, რომლებთანაც იმუშავებს თუ მათი მოწოდება მოხდება დამკვეთის მიერ? რა ფირმის აღჭურვილობა იქნება ეს?

   A: ტექნიკური აღჭურვილობა შესყიდული იქნება პროექტის მიერ და შეთავაზებული ინტერტეტ პროვაიდერისთვის. კონკრეტული ტექნიკური დანადგარები ამ ეტაპზე არ არის შესყიდული, თუმცა სპეციფიკაციები შეგიძლიათ იხილოთ აქ. მიწოდებული

აღჭურვილობა და მასალები (მაგ. კაბელები, რეკ კარადები და ა.შ.) დარჩება დამკვეთის საკუთრებაში.

8. **Q:** თუ მაქვს ჩემი საკუთარი ქსელი ზოგიერთ სოფელში, შეიძლება თუ არა ის გამოვიყენო? აუცილებელია Open Net-ის კაბელის გამოყენება?

   A: ტექნიკურად ინსტალაციის გეგმა და პროექტი შეგიძლიათ შემოგვთავაზოთ დამოუკიდებლად, თუმცა Open Net-ის ინფრასტრუქტურის გამოყენება სავალდებულო მოთხოვნაა.

9. **Q:** *"რეკი უნდა დამონტაჟდეს შენობაში ან გარეთ, თუ REDI Wi-Fi კავშირის წერტილი არ არის შენობაში წარმოდგენილი"* - უკვე მოპოვებულია თუ არა შესაბამისი ნებართვა?

   A: ყველა შესაბამისი ნებართვა უნდა მოიპოვოს ტენდერში მონაწილემ.

10. **Q:** არის თუ არა მოცემული ტენდერი Horizon Europe შეთანხმების ფარგლებში? შეუძლია თუ არა ამ ტენდერში მონაწილეობა თურქეთში დაარსებულ ან ახლად დაარსებულ კომპანიას?

    A: ტენდერი გამოცხადდა ევროკავშირის მიერ დაფინანსებული პროექტის ინტერნეტზე წვდომის ფლაგმანი: სოფლის გაძლიერება ციფრული ჩართულობის გზით (REDI) ფარგლებში. იმ პირობით, რომ იგი აკმაყოფილებს დანარჩენ ფორმალურ კრიტერიუმებსა და მოთხოვნებს, თურქეთში დაფუძნებულ კომპანიას შეუძლია მონაწილეობა მიიღოს მოცემულ ტენდერში.

11. **Q:** რამდენ ხანს გაგრძელდება ტენდერი?

    A: განაცხადების მიღების ბოლო ვადაა 2025 წლის 20 აპრილი თბილისის დროით 23:59. გამარჯვებულ აპლიკანტ(ებ)თან გაფორმებული ხელშეკრულება ძალაში იქნება 2025 წლის ბოლომდე, ვადის გახანგრძლივების პირობებით.